№ 127
ოთხშაბათი, 17 ივნისი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 127
ოთხშაბათი, 17 ივნისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიას გასასყიდად ახალი წიგნი:

თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი პირველი

მეგახლავარ-ისა.

ფასი 20 კაპ. ვინც 10 ცალზედ მეტს დაიბარებს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას $20^0/_0$ დაეთმობა. წიგნი იყიდება აგრეთვე ბ-ნ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (10—უ.—2)

«ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. —დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე. —5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი — 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(წ)

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა გუნიბის ოლქის ანდალიალის ნაიბის თანამდებობის აღმასრულებლად, შტაბს-როტმისტრი ფოცხვერაშვილი—კაზიკუმუხის ოლქის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა—არჩილ ნადირაძე—სამტრედიის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში და ოზურგეთის ფოსტა ტელეგრაფის კანტორისა ახო საყვარელიძე—ნატანების ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

გამწესებულ იქმნა მედავითნეს შვილი ზაქარია ნატროშვილი—არდაგანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით სამსახურიდგან არდაგანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ზაქარია ჯაფარიძე.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 16 ივნისს, დილის $9^1/_2$ საათზედ, საზღვარ-გარეთიდგან რკინის გზის ვაგონით მოასვენეს ტფილისში ამას წინად გარდაცვალებულის ნიკოლოოზ ზუბალაშვილის გვამი. სადგურზედ განსვენებულის პატივ-საცემად შეიკრიბნენ ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი, ხმოსნები, განსვენებულის ნათესავნი და ნაცნობნი. იქვე გამწკრივებულიყვნენ ამქრების უსტაბაშები თავიანთის ბაირაღებით. მცირე ლოცვის შემდეგ სადგურის ბაქანზედ, გვამი კათოლიკეთა ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში გაასვენეს, სადაც წირვა იქმნა გარდახდილი. ქუჩაში აუარებელი ხალხი მისდევდა კუბოს. განსვენებულის გვამი ჯერ არ დაუსაფლავებიათ და ეკკლესიაში ასვენია.

⁂ 1898 წ. თიბათვის 16 დანიშნული იყო გასასყიდად ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში სულ 324 სოფლის მამული. რადგან ვაჭრობის დაწყებამდინ შემოტანილ იქმნა ხვედრი გარდასახადი, ამის გამო ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ რვა მამული: 1) სამი გორის მაზრისა, 2) ორი სიღნაღისა, 3) ერთი თელავისა, 4) ერთი დუშეთისა და 5) ერთიც ტფილისისა. გაიყიდა ექვსი მამული: 1) 3 გორის მაზრისა, 2) ორი სიღნაღისა, 3) ერთიც დუშეთისა. დარჩა ორი მამული ხელმეორე ვაჭრობისათვის, რომელიც მოხდება 30 თიბათვეს ამა წლისა.

გაყიდულ მამულებზე ირიცხებოდა ბანკის ვალი 29057 მან. 88 კაპ., და გაიყიდა 31.008 მანეთად. ხელმეორედ გასასყიდ მამულებზე ირიცხება ბანკის ვალი 29679 მან. 89 კაპ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა მოახსენა ბ-ნს გუბერნატორს, რომ ტფილისის პოლიციამ სახლის პატრონებს წელს 1 იანვრიდგან 1 ივნისამდე გამოართვა დარჩენილი გარდასახადი 42,070 მ. 55 კ. 1896 და 1897 წლების გარდასახადიდგან დარჩენილი და ეს ფული უკვე შეტანილ იქმნა ხაზინაში.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ე. ლ. ვედენეევი 24 ივნისს ორის თვით საზღვარ-გარეთ წავა.

⁂ კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრი კ. ვ. იაკიმოვი პეტერბურგში წავიდა იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც უნდა განიხილოს საერობო დარაჯის გარდაკეთების საქმე.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილება მიდის ახალციხეში საქმეთა განსახილველად 22 ივნისს, ხოლო გორში 4 სექტემბერს.

⁂ გზათა სამინისტროს განკარგულებისამებრ გორის მაზრის ატენის ხეობის ამხანაგობას „ზუზუმანისა და ქართველიშვილისას", რომელიც ხაზინისათვის რკინის გზის სალიანდაგო ბოძებს ამზადებს, სესხად მიეცა 150,000 მან.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატამ გადასცა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს აღსასრულებლად განაჩენი ტფილისის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფის ნ. ამატუნის შესახებ.

⁂ მასწავლებლად ნამყოფმა ბ-ნმა დუმბაძემ ამ ჟამად მეტეხის პატიმართაგან მგალობელთა რუსული გუნდი შეადგინა და გალობა დააწყებინა მეტეხისავე ეკკლესიაში. გუნდმა პირველად კვირას, 14 ივნისს, იგალობა მთელი წირვა და სმენა დაუტკბო თავიანთ თანამოძმე პატიმართ. მეტეხის ციხის მცხოვრებელთა გარდა წირვას გარეშე ხალხიც დაესწრო და დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა ხახლში.

⁂ ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის საჭირო შენობის აგების საქმე ჯერ არ გადუწყვეტია ქალაქის გამგეობას. ეხლანდელი სადგური-კი ამ რაზმისა უკვე ინგრევა. ტფილისის პოლიცმეისტერმა მიმართა ქალაქის მოურავს და სთხოვა, დროებით მაინც მიეცით სხვა სადგური ცეცხლის მქრობელ რაზმსა, თორემ შეიძლება რამე უბედურება მოხდესო. იგივე შეატყობინა პოლიცმეისტერმა ბ-ნს გუბერნატორსაც.

ფელეტონი

ცხოვრება და მწერლობა

III

ახალი ქართველი ქალი *)

იმ დამრჩვალსა და მყრალს ატმოსფერაში, იმ ჭაობში, სადაც დაპუდებულან და ფარფაშობენ „კნეინა მაკინეები" და მათნი მსგავსნი, იბადება ახალი ქართველი ქალი—ქეთინო ზურაბიშვილი. ქეთინო არც დიდის ჭკუისა და ნიჭის ქალია, არც დიდი განათლება მიუღია, იგი მხოლოდ და მარტო ადამიანია, კარგი ადამიანია. და განა ეს არა კმარა, რომ „მაკინეების" სამეფოში ის თითით საჩვენებელი გახდეს? როგორ და რა საშუალებით აღმოცენდა მყრალს ჭაობში ეს ტურფა და სუნნელოვანი ყვავილი; მაკინეებმა და დარეჯანებმა როგორ გამოზარდეს ქეთინო,—ეს განხორციელებული სათნოება, ეს ჭეშმარიტი ადამიანი. მსგავსი მსგავსსა ჰშობსო და „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებაო", ძველადვე თქმულა. მაკინეები მაკინესვე ჰშობდნენ და აღზრდიდნენ.

დიახაც ასე იქნებოდა, რომ უტყუვრად, უცილობლად და სავსებით მართალი იყოს ქართული ანდაზა:

„აყვავდა ხილი,
დაისხა თხილი,
როგორიც დედა,
ისეთი შვილი".

ეს რომ ასე იყოს, დავიღუპებოდით. საქმე ის არის, რომ დაბადებითვე არავის არ დაჰყვება ხოლმე უფროს ერთს შემთხვევაში არც ბედოვლათობა, არც ქარაფშუტობა, არც ზარმაცობა, არც უსაქმურობა და მეტ-ხორცობა ამა სოფლად. ყოველივე ესე მიიღების ცუდის აღზრდისა და სწავლის მეოხებით. ახლად დაბადებული ჰგავს ტყიდგან მოტანილსა და ბაღში დარგულს მაჟალოს, რომელზედაც შემდეგ მებაღე ამყნობს საუცხოვო ჯიშის ვაშლს. აუნაოშეთ, გაუთოხნეთ ნიადაგი მცენარეს, მორწყეთ დროზედ, ამყენით და თქვენ შექმნით საუკეთესო ნაყოფიან ხეხილს. მიაგდეთ უყურადღებოდ და ბაღის ხეხილიც გაგარეულდება და გახმება.

რასაკვირველია, დაბადებითვე ადამიანს არაფერი არა გამოჰყვება-რაო, ამისი თქმაც არ შეიძლება. აწინდელის მეცნიერების აზრით ბევრი რამ და მეტადრე ნერვების ასეთი თუ ისეთი აგებულება, ასეთი თუ ისეთი მგრძნობიერობა ახლად შობილს თან მოაქვს. ხოლო მაინცა და მაინც აღზრდას იმოდენა ადგილი და ზეგავლენა ჰრჩება, რომ თამამად შეგვიძლიან უმთავრესნი საბუთნი ადამიანის სიწამხდრისა თუ სათნოებისა მისს აღზრდაში ვეძიოთ.

„მოლიპულ გზაზე"-ს ნიჭიერს ავტორს ჰსურდა დაეხატა ჩვენთვის ახალი ტიპი ქართველის ქალისა. ჰსურდა ეთქვა, რომ არიან ჩვენშიც იმისთანა ახალთაობის ქალები, რომელთაც შეუძლიანთ ღირსეულად ატარონ სახელი ადამიანისა. ამ სურვილთან არც ის დაჰვიწყებია, რომ როგორმე აეხსნა მკითხველისათვის, თუ რა გარემოებამა და რაგვარმა აღზრდამ აქცია ქეთინო ისეთ ჩინებულ ზეციურ არსებად. ეს ისეთი საკითხი არის, რომლის წინაშე შეკრთებოდა თვით გენიოსი პოეტი-ბელლეტრისტი. რასაკვირველია, ძნელი არ არის თოჯა გააკეთოთ, მანქანა ამოუდოთ და სულ მაღალ მაღალი და პტყელ-პტყელი ლიბერალური ფრაზები ალაპარაკოთ. გარნა ეს იქნება თოჯა და არა ცოცხალი ადამიანი. ან. ერისთავისას-კი, როგორც ნიჭიერს ბელეტრისტს, არ ეხერხება თოჯათა ხატვა. მისის მოთხრობის გმირნი სულ ცოცხალნი არსებანი არიან. რას ეგვანებოდა ამათში თოჯა, უსულ-ხორცო, ტენდენციურ ფრაზების გუდა, ახალი, „შეთხზული" ტიპი. მაშ როგორ მოეწყო ავტორს ქეთინოს აღზრდა, რომ ცხოვრების სიმართლესთვისაც არ ეღალატნა და ახალი ქართველი ქალიც დაესურათებინა. ვიცი, ღიმილი მოგდის, მკითხველო, ბედნიერ და სწავლულ ტუჩებზედ: „რა არის აქ ძნელი, ჩაიყვანდა ავტორი ქეთინოს ტფილისში, მისცემდა ინსტიტუტის, ანუ „ზავედენიის" პანსიონში, დაამთავრებინებდა კურსს და გამოვიდოდა ნასწავლი და განვითარებული ახალი ქართველი ქალი"!

მერე, ბატონო, დაგავიწყდათ, რომ ვეშაპმა მაკინემ ინსტიტუტი გაათავა? დაგავიწყდათ, რომ მაკინეს იმ „ვითომ სწავლამ" მთლად გარდაუქცნა არსება; ადამიანი აქცია პირუტყვად, მეტ-ხორცად ამა სოფლისა.

როგორ მოვაწყოთ შვილების აღზრდა, რომ ისინი ადამიანები დგებოდნენ? ეს, ჩემო ბატონო, ძალიან მძიმე საკითხია; ეს ის მოჯადოებული წრეა, რომლიდგანაც გამოსვლა ადვილი არ არის. ჩვენ თვითონ გვეგონა, რომ ან. ერისთავისა ამ მუხლში უღალატებდა სიმართლეს და ტენდენციურს ახსნას წარმოგვიდგენდა. მაგრამ იმ მხატვრობითმა ალღომ, რომელიც უეჭველად აქვს, ადვილად გაატარა ავტორი სცილლასა და ხარიბდას შორის. ავტორმა თავისი საყვარელი ქეთინო გაჰზარდა მონასტრის ოთხ-კლასიან თუ ორ-კლასიანს სკოლაში... ეს იყო მთელი კურსი, მთელი აკადემია განათლებისა ქეთინოსთვის. მაგრამ დახეთ რა ადამიანი გამოვიდა ქეთინო! მისი სპეტაკი, ანგელოზებური სახე თვალ-წინ გვიდგა და ვსტკბებით მისის ცქერით, მისი ჰკვიანური საუბარი გვესმის და არა გვჯერა, რომ ის ჩვენი ქართველი ქალია; მისი გამა-

---

*) გარჩევა მოთხრობის „მოლიპულ გზაზე", იხ. „ივერია" № 84.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი პ. ა. პეშჩუროვი თანამდებობას თავს ანებებს. პეშჩუროვმა უკვე ითხოვა გამონთავისუფლეთ თანამდებობისაგანაო.

⁂ შაბათს, 13 ივნისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ჰქონდათ სატეხნიკო საზოგადოების წევრთ იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ რა გვარად უნდა იქმნეს ქალაქი განათებულიო, და კრებამ ერთხმად ელექტრონით განათების შემოღება იცნო საჭიროდ.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენზედ, რომლითაც მღვ. ამბრიაშვილი, კაკაევი და ქიტიაშვილი დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი, რომ მოტყუებით ფული უნდოდათ აეღოთ სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოებისაგანაო, სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ბრალდებულთ სამოსამართლო პალატაში.

⁂ ბრალმდებელმა საკასაციო საჩივარი გადაიტანა ვაჰარის მესნიანკინის საქმის გამო. ეს საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატამ ორჯერ გაარჩია, ერთხელ გაამტყუნა და მეორედ გაამართლა მესნიანკინი, რომელსაც სხვა-და-სხვა ბოროტი საქმის ჩადენა ბრალდებოდა.

⁂ წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 78 კაცმა, მათ შორის ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მიღებულ იქმნა 27 კაცი.

⁂ მკითხველებმა იციან, რომ ამას წინად ვიღაც ბოროტ გამზრახველმა რევოლვერი ესროლა და მძიმედ დასჭრა გუდაუთის ნაწილის უფროსი ვ. ჩიქოვანი. ეხლა სოხუმის ოლქის უფროსის თანაშემწე დე-სიმონი სასტიკად შეუდგა ამ საქმის გამოძიებას. დამნაშავე ჯერ არ აღმოუჩენიათ, თუმცა უკვე დაპატიმრეს 31 აფხაზი, რომელნიც დანაშაულობის დღეს გუდაუთში იყვნენ. დაჭრილი ჩიქოვანი ტფილისში მოიყვანეს. იმის თანამდებობას დროებით ასრულებს სოხუმის საოლქო გამგეობის არხივარიუსი დ. ელიავა.

⁂ სამკურნალო-სასანიტარო საბჭომ უკვე შეადგინა ქალაქის სამკურნალოსა და მისას ორის განყოფილების, ხარფუხსა და ავლაბარში, შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1899 წლისათვის. შემოსავალი არ აღემატება 1,200 მანათს, ხოლო ხარჯი იქმნება—21.975 მან., 1898 წლის გასავალზე 3.365 მანათით მეტი. ხარჯი მოემატა იმის გამო, რომ სამკურნალოში დანიშნეს მომეტებული ფერშლები, ერთი თანაშემწე აფთიაქის გამგესი და სხვ.

⁂ კავკავის ქალთა თავშესაფარი, საეპარქიო საბჭოს დადგენილებისამებრ, გადმოტანილ იქმნება გორის მაზრის დ. ცხინვალში.

⁂ წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 78 კაცმა, მათ შორის ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მიღებულ იქმნა 27 კაცი.

⁂ გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის სამმართველო განყოფილებას იარსებს ქ. გორში. განყოფილება დაარსდება 1 ივლისს და მმართველად დანიშნულ იქმნა თავ. რატიშვილი. ამხანაგობას განზრახვა აქვს განყოფილებები დააარსოს ქ. ტფილისშიაც, რიყეზედ.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი თელავიდგან, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ სოფელ კურდღელაურისა და იყალთოს გზაზედ მეხმა სამი სული იმსხვერპლაო. ვბეჭდავთ ამის შესახებ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს: კვირას, 7 ივნისს, ნაშუადღევის ხუთის ნახევარ საათზედ და იწყო ჭექა ქუხილი და მცირე რამ წვიმაც მოვიდა. ამ დროს სოფ. კურდღელაურიდგან მიმავლებულიყვნენ რძალ-მული, რომელნიც კურდღელაურს ნათესავის სატირლად იყვნენ. ერთი ამათგანი რუისპირში მიდიოდა ძუძუთა ქალიშვილით, ერთიც იყალთოში. დედა ქვახარშიაშვილისა იყო და მისი მული დარეჯანაშვილის ქვრივი. თელავიდგან ხუთ ვერსზედ არის ხევის წყალი თურდო; როცა ამ წყალს მიახლოვდნენ, ფეხთ დაიხადეს, ტანისამოსი შემოიკალთავეს და ჩადგა ერთმა მათგანმა თუ არა ფეხი წყალში, ჩამოვარდა მეხი და სამივე: რძალ-მული და პატარა ქალიშვილი უსულოდ შეიქმნენ. დედას შვილი ისევ ხელში ეჭირა. პატარას სათამაშო შერჩენოდა ხელში და სახე მძინარისა ჰქონდა. რძალს თავი და ერთი ფეხი ჰქონდა დაშავებული, მულს—ხელი და მთელი მხარე.

⁂ გაზ. „მწყემსის“ სიტყვით, იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსის თანამდებობის აღმასრულებელი ყოვლად სამღვდელო ბესარიონი ხსენებულ ეპარქიის ეპისკოპოსად იქმნა დამტკიცებული.

⁂ გაზ. „კავკასი“ იუწყება, რომ კავკასიის უმაღლესს მთავრობას მიუმართავს სასჯულო საქმეთა სამინისტროსთვის და უთხოვნია 1896 და 1897 წლებში ჯარიმებისაგან შემდგარ თანხიდგან გადადებულ იქმნას 10% კავკასიის საზოგადოების იმ მმართველობის საჭიროებისათვის, რომელიც განაგებს მცირე წლოვან დამნაშავეთათვის თავშესაფარის საქმეს.

⁂ საქმე კასიდ მამიკონჯაისა, რომელსაც მევახშეობა ბრალდება, 4 სექტემბერს იქმნება განხილული.

⁂ გუშინ-წინ, 14 ივნისს, ბაზრის ზედამხედველმა იარმუკაში იპოვნა და გადააყრევინა ოთხი ფუთი უვარგისი მოთალი და ბევრი გამოუსადეგარი კვერცხი.

⁂ გუშინ-წინ, 14 ივნისს, რკინის გზის მატარებელს გაუსრესია სოფელ ქარელის მცხოვრები ს. ციციაშვილი.

⁂ უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ საბჭოს 1896 წლის 1 მაისისათვის კასსაში ჰქონდა 50931 მან. 21 კ., მაისში შემოუვიდა 14923 მან. 78 კაპ., ამავე თვეში დაიხარჯა 17493 მ. 32 კაპ., პირველ ივნისისათვის კასსაში დარჩა 48361 მ. 67 კ. ამ ფულიდგან ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ინახება 24212 მან. 66 კაპ.; ამავე ბანკის შემნახველ კასსაში 1926 მან., 78 კაპ.; იქვე %% ქაღალდებით—22105 მან. 13 კაპ. და ფულად საბჭოს კასსაში—117 მან. 10 კაპ. უსინათლოთა საავადმყოფოში იწამლა ახლად 557 კაცმა.

⁂ სოფ. სანება, (კავკავის მაზრა). სანებელმა ხასიგოვმა ცხენი გააჭენა და თავი ვეღარ შეუმაგრა. ცხენი დაეჯახა ალაგოვის შვიდის წლის ქალს, ფეხი თავში ჩაჰკრა წაქცეულს და თავი ჩაუმტვრია. ბავშვის მორჩენის იმედი არა აქვთ.

ქალაქის საბჭო

15 ივნისი

15 ივნისის კრებამ ყველა წინანდელ კრებას გადააჭარბა. ამ საღამოს ხმოსნები და თავმჯდომარე ჩხუბისა და კინკლაობის საგანგებო გუნებაზედ იყვნენ.

კრების დაწყებისას თავმჯდომარემ ქალაქის მოურავმა გ. გ. ევანგულოვმა განაცხადა: დღეს ჩვენ უნდა განვიხილოთ უსახელო საზოგადოების და ბ-ნ ყაზბეგის წინადადებანიო.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. ვიდრე მაგ წინადადებათ განვიხილავდეთ, საჭიროა საბჭოს მოხსენდეს იმ კომისიის დასკვნა და აზრი, რომელსაც მივანდეთ უსახელო საზოგადოების დავთრებისა და წიგნების გაჩხრეკა. ჩვენ არ ვიცით, რა შემოსავალი და გასავალი აქვს საზოგადოებას; ხსენებულმა კომისიამ კი ყოველივე ეს უკვე გამოიკვლია. ამიტომ ჯერ ამ კომისიას უნდა მოვუსმინოთ.

თავმჯდომარე. მაგისთვის დრო სრულიად აღარა გვაქვს. მალე საბჭოს კრებები სრულიად მოისპობა შემოდგომამდე.

ხმ. ხუდადოვი. მეც იმ აზრისა ვარ, რომ ჯერ მაგ კომისიის აზრი შევიტყოთ და მერე შევუდგეთ წინადადებათა განხილვას. ხარჯი გავწიეთ, 1,000 მანეთი გადავდეთ ექსპერტების მოსაწვევად, კომისიას აუარებელი მასალა აქვს და ეხლა არც-კი გვინდა ამ შრომითა და მასალით ვისარგებლოთ.

გამგ. წევრი გურამიშვილი. ჩვენ მაგის წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ, როგორც თავმჯდომარემ ჰბრძანა, დრო არა გვაქვს მაგისათვის. გარდა ამისა, კომისიას ჯერ საქმე არ გაუთავებია. საზოგადოდ-კი შემიძლიან მოვახსენო კრებას, რომ მოგება უსახელო საზოგადოებასა ჰქონდა 1891, 1892, 1893 წლებს—80,519 მან., ხოლო 1897 წელს—158,000 მან. ორითა შუა რიცხვით ქალაქმა უნდა აძლიოს წელიწადში უსახელო საზოგადოებას 77,000 მანეთი.

თავმჯდომარე. მე მსურს საბჭომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტოს: წინადადებათა განხილვა გადადებულ იქმნას თუ არა იმ დრომდე, ვიდრე კომისიის გამოკვლევანი დაიბეჭდება?

ხმ. კ. მ. ალიხანოვი. ეგ როგორ იქმნება, როდის-ღა უნდა გადავწყვიტოთ საქმე?

ქალაქის საბჭომ ხმის უმეტესობით უარ-ჰყო ხმ. ა. ს. ბაბოვის წინადადება.

ხმ. კ. მ. ალიხანოვი. ჩემის აზრით, უსახელო საზოგადოებისა და ყაზბეგის წინადადებათა განხილვა დიდის ხნით-კი არა, მხოლოდ ერთის კვირით უნდა გადავდოთ. ბ-ნს ყაზბეგს ჯერ არ წარმოუდგენია სავსებით თავისი წინადადება. ამ კვირის გასულს, როგორც ყაზბეგმა გამოგვიცხადა, ჩამოვა საფრანგეთიდგან საზოგადოების წარმომადგენელი. მე მგონია, ბ-ნი ყაზბეგი, როგორც ამ ქვეყნის შვილი, რამდენადაც საფრანგეთის საზოგადოების სასარგებლოდ სცდილობს, იმდენადვე ქალაქის სიკეთე აქვს მხედველობაში. ამიტომ საჭიროა ერთის კვირის მოცდა.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. მე ყოველთვის ჭეშმარიტება და სინათლე მიყვარდა. ამიტომ არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის, რომ დღეს საბჭო რაღაცას საიდუმლოდ ახდენს, რაღაც კეკემალულობასა თამაშობს...

თავმჯდომარე. ბ-ნო ბაბოვო, მე გთხოვთ პატივით მოეპყრათ როგორც თქვენ თავს, აგრეთვე ხმოს-

---

ლებულის, აღტაცებულის, გარნა უანგარო და უზაკვო სიყვარულის ღელვა ჩვენ თვალ წინ გაივლის, მაგრამ ვუცქერით მისს შეყვარებას და ერთს წუთსაც არ მოგვდის ის ფიქრი, რომ ეს არის ხორციელი მოვლენა.

ვიცი, ჩვენი ჰკვიანი და ბრძენი მკითხველი დასძრახავს ან. ერისთავისასაც, ჩვენც გვიკიჟინებს და გულის წყრომით წამოიძახებს: „როგორ, მაშ ყველანი მონასტრის სკოლებში წავიდეთო! მაშ ადამიანად ქცევისათვის საჭიროა მხოლოდ ორის კლასის გათავებაო“!..

თუ ეს ბრძენი მკითხველი ენაწყლიანიც არის, უშველებელს „რეჩს“ იტყვის ამ საგანზედ. მაგრამ გარწმუნებთ, რომ სულ-კი ამაო იქმნება. ან. ერისთავისა ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს „ღირსებასა“ და „სიმშვენიერეს“ მონასტრის აღზრდისას. საქმე ის არის, რომ იმ „მოჯადოვებულ წრიდგან“ თავი დააღწია, და ძალიანაც ხერხიანად, ქეთინომ მონასტერში წასვლით. ამ შემთხვევაში მონასტერი უდრის სრულიად არ-ყოფნას აღზრდისას, ესე იგი უხეირო გარემოებაში, გარყვნილსა და გაფუჭებულს ატმოსფერაში აღზრდას სჯობია ბავშვი გაიზარდოს თავის-და-თავად მონასტრის ოთხ-კედელშუა, გათახსირებულ ხალხის ზეგავლენის გარეშე. ან. ერისთავისათვის მონასტერი იგივეა, რაც ტყე და ველი ჟან-ჟაკ რუსსოს ემილისთვის. საფრანგეთის უდიდესი ფილოსოფოსიც იმ აზრისა იყო, რომ ბავშვი გაეზარდა ხალხის მოშორებით, ბუნებასთან და მხოლოდ ბუნებასთან ურთიერთობაში.

დიახ, ქეთინო ან. ერისთავისა მონასტერში გაიზარდა.

„მონოზნების ერთფერი ჩაშვებული ტანისამოსი, მოგვითხრობს ავტორი: ერთგვარად სევდით გამომყურე სახეები, გადასულნი ამ ქვეყნიდგან, მონასტრის სქელი კედლები, გამუდმებული ზარების რეკა, ყველა ამან თითქო ამის ბუნებით მხიარულ ხასიათს ჩრდილი მიაყენა, წლოვანების შეუსაბამოდ დაადარბაისლა და, როდესაც დაბრუნდა სახლში ჩვიდმეტის წლისა, ეს სჩანდა თითქმის ოცის წლის ქალად. ქეთინოს ძალიან უყვარდა თავისი სოფელი, მაგრამ რა-კი საერთოს ვერას ჰხედავდა, როგორც თავისებს შორის, ისე მეზობლებთან, ამის გამო არ უხაროდა მონასტრიდან შინ დაბრუნება“.

აკი მოგახსენეთ: მონასტერი აქ იდეალად არ არის მოტანილი. ამ გარემოებით ავტორმა სთქვა, რომ აწ არსებული აღზრდა-განათლების წესი არ უწყობს ხელს კაცურ კაცის აღზრდას, ჭეშმარიტის ადამიანის მომზადებას. ამ შემთხვევაში ან. ერისთავისას უცნაური და არ დასაჯერებელი არა წარმოუთქვამს რა. ასეთივე აზრისანი არიან რუსეთის სკოლების შესახებ საუკეთესო რუსის პედაგოგნი. სწორეთ ასეთი აზრები წარმოსთქვა ამ დღეებში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კ. იანოვსკიმ ერთს რუსულ ჟურნალში. *)

ბ-ნ კ. იანოვსკის აზრით, ეხლანდელი სკოლა ჰკლავს მოზარდ თაობაში ყოველსავე ინდივიდუალურს თვისებას, სკოლა სცდილობს, რომ ყველა მოწაფე ერთ ყალიბში გაატაროს: არ მიიღების სახეში არც ნიჭი, არც ბუნება ბავშვისა. გარდა ამისა, სკოლა მოკლებულია იმას, რაც ჰქმნის ჭეშმარიტს ადამიანს, მოქალაქეს თავის ქვეყნისას და თავის დროისას—ეროვნულ ხასიათსაო. რუსეთის გიმნაზიების მოსწავლეებმა ყველაფერი იციან, რუსეთის გარდაო!

რაღა ითქმის ჩვენზედ? ეროვნულს ნიადაგზედ აღმოცენილი მცირედი სწავლაც დიდს ნაყოფს გამოიღებს. ამისი საბუთი ქეთინოა ან. ერისთავისა. ძალიან შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ყოველსავე ამას ჩვენ გვათქმევინებს ვიწრო კალაპოტიანი მამულიშვილობა; ის ახირებული მამულის სიყვარული, რომელიც აიძულებს კაცს, სთქვას „მეორე წაღა“ ნაცვლად „კალოშებისა“, „თხების ნომრები“ ნაცვლად „კოზლოვის ნომრებისა“. არა, რასაც ჩვენ მოგახსენებთ, იმას ამ სიმახინჯესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ჩვენ ვამბობთ, სწავლა, აშენებული არა-ეროვნულ საფუძველზედ, ადამიანს ბუნებას უკლავს, ნიჭს უხშობს. უსამშობლო ნიადაგზედ აღზრდილი ადამიანი ჰგავს უდედ მამოდ აღზრდილს ბავშვს. ბავშვი, მოკლებული სიყრმითვე დედის ალერსს, მშობლების სიყვარულს, გულ ცივი მშრალი ადამიანი გამოდის; მისის გულისთვის უცხოა ცხოველ მყოფელი სხივი სიყვარულისა. ყოველივე დიდებული, სასახელო თუ დასაგმობი საქმე, რასაც აზის დაღი დიადობისა, არა ჩვეულებრობისა გულიდგან მომდინარეობს. გონება გულის მეთვალყურეა, ხოლო უიმისოდ სუსტია, მშიშარაა, ძაბუნია. ეროვნული ნიადაგი განათლებისა სწორედ ამ გულის გასაწვრთნელად არის საჭირო. ძველი ენები, ლოღიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, ალგებრა, ტრიგონომეტრია რამდენიც უნდა ისწავლოთ, არ გახდებით არც კეთილი, არც ბოროტი, არც პატიოსანი, არც უპატიოსნო. პითაგორის თეორემის ზედმიწევნით ცოდნა კაცს ვერ შეიკავებს ვერც ტყუილისაგან, ვერც მოპარვისაგან, ვერც მოძმის დასმენისაგან, ვერც ავაზაკობისაგან. მხოლოდ სამშობლო კლასიკურ მწერლების შესწავლა, სამშობლო ისტორიის ცოდნა, სამშობლო ხმების გალობა,—აი აღმზრდელები მოსიყვარულე და პატიოსანის გულისა!

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „Русская школа“ 1898 წ.

ნებს და მაგისთანა სიტყვებით...

ხმ. ზაზოვი. მოითმინეთ მე ვამბობ...

თავმჯდომარე. (ხმას იმაღლებს) მე გთხოვთ, როცა ვლაპარაკობ, ყური დამიგდოთ.

ხმ. ზაზოვი. მე კიდევ გთხოვთ, დარიგება არ მიკითხოთ ხოლმე...

თავმჯდომარე. დარიგებას მე-კი არა, თქვენ უკითხავთ საბჭოს. გთხოვთ მხოლოდ საქმის შესახებ ილაპარაკოთ.

ხმ. ზაზოვი. საქმის შესახებ ვლაპარაკობ, მაშ რა არის? მე ვამბობ, რომ სექტემბრამდე ცხენის რკინის გზის საქმის განხილვა სრულიად გადადებულ უნდა იქმნას-მეთქი.

(ხმები: ეგ სხვა არის, აგრე იტყოდით, რაღას ჰკიბავდით).

ხმ. ტიგრანოვი. ხმ. ალიხანოვი იმ აზრისაა, რომ რკინის გზა უნდა გაიცეს...

ხმ. ალიხანოვი. მოითმინეთ, თქვენ რა იცით, გულში რა მიდევს და რას ვფიქრობ?!.

ხმ. ტიგრანოვი. გთხოვთ ნუ მიშლით!..

ხმ. ალიხანოვი. როგორთუ ნუ გიშლით? თქვენ...

ხმ. ტიგრანოვი. ბ-ნო თავმჯდომარევ! გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ მიშლიან.

თავმჯდომარე. თქვენ საქმის შესახებ არ ლაპარაკობთ. გადასაწყვეტია ამ ჟამად: გადიდოს თუ არა წინადადებათა განხილვა. ამის შესახებ ბრძანეთ რაცა გნებავთ.

ხმ. ტიგრანოვი. გთხოვთ უწინარეს ყოვლისა ყური დამიგდოთ.

თავმჯდომარე. უკაცრავად, მე კი არა, ჯერ თქვენ უნდა დამიგდოთ ყური და რადგან ამას არ ასრულებთ, ამიტომ პირველად გაფრთხილებთ.

ხმ. ტიგრანოვი. მოითმინეთ. ნება მომეცით, როგორც ხმოსანმა, თავისუფლად ვილაპარაკო.

თავმჯდომარე. არ შეიძლება. უნდა ისე მოიქცეთ, როგორც კანონი მოითხოვს.

ხმ. ტიგრანოვი. რის კანონი? კანონს იმას ეძახით, რაც თქვენ მოგესურვებათ.

თავმჯდომარე. (ხმას უმაღლებს და სასტიკად) ბ-ნო ტიგრანოვო, მეორედ გაფრთხილებთ...

ხმ. ტიგრანოვი. (საშინელის ყვირილით) რისთვის? რის გულისთვის? რა ამბავია?.. (ხმაურობა ასტყდება).

თავმჯდომარე. მე თქვენ სიტყვის თქმის ნებას აღარ გაძლევთ.

ტიგრანოვი. (ისევ იმ ხმით) რადა, არ მეტყვით, რა დავაშავე?.. (საბჭოში საშინელი ხმაურობა ასტყდა, შემდეგ ეს ხმაურობა სტვენად გადიქცა, რადგანაც ხმოსნები სტვენით ერთმანეთს აჩუმებდნენ. ათიოდე ხმოსანი სკამებიდგან წამოდგა და კარებისაკენ წავიდა. ამ ხნის განმავლობაში ტიგრანოვი განუწყვეტლივ იძახდა: „რისთვის, რადა?„ და სხვანი და აქეთ-იქით უყურებდა ხმოსნებს, თითქოს თავისის საკითხის პასუხს ეძებდაო).

თავმჯდომარე. (იმ ხმოსნებს, რომელთაც გარეთ გასვლა დააპირეს). მე გთხოვთ დარჩეთ. ფიქრი ნუ გაქვთ, აქ არაფერი უწესოება არ მოხდება. ბ-ნი ტიგრანოვი ორჯელ გავაფრთხილე და შემდეგ ლაპარაკი ავუკრძალე. ეხლავე ქალაქის დებულების იმ მუხლს წავიკითხავ, რომელიც მაძლევს ამის ნებას. (წაკითხულ იქმნა ეს მუხლი).

ხმ. ტიგრანოვი. (თავმჯდომარეს). ღვთის გულისათვის გამაგებინეთ, რისთვის მიკრძალავთ ლაპარაკს?

თავმჯდომარე. მე თქვენ გირჩევთ...

ხმ. ტიგრანოვი. (ყვირილით) არა ვსაჭიროებ თქვენ რჩევას. რად მინდა თქვენი რჩევა და დარიგება?!.

თავმჯდომარე. (ყვირილითვე) ბ-ნო ტიგრანოვო, გთხოვთ გაჩუმდეთ... თქვენ ლაპარაკი უკვე აღგიკრძალეთ. (ამ დროს ტიგრანოვი უცბად ფეხზედ წამოდგა, დარბაზის შუა ადგილას, თავმჯდომარის სტოლის წინ დადგა და თავმჯდომარეს მიჰმართა).

ხმ. ტიგრანოვი. ბ-ნო მოურავო, მე თქვენ იმდენად ნაკლებად გცემთ პატივს, რომ დღეის შემდეგ, როდესაც თქვენ თავმჯდომარედ იქნებით, მე კრებას სრულიად აღარ დავესწრები. (ისეთი ყვირილი და ხმაურობა ასტყდა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო).

თავმჯდომარე. (გაბრაზებული წამოვარდება ფეხზედ და მდივანს ხმა მაღლა მიჰმართავს). ბ-ნო მდივანო, გთხოვთ ხმ. ტიგრანოვის სიტყვები სავსებით შეიტანოთ ოქმში. ერთი სიტყვაც არ გამოაკლოთ. (საბჭოს) ეხლა-კი კრებას შევსწყვეტ. (ხმაურობა უფრო ასტყდება. „ოპოზიციონისტები“ და გამგეობის მომხრენი ერთმანეთს ხმა-მაღლა, ყვირილით ეკამათებიან).

ათის წუთის შემდეგ სხდომა ხელახლად დაიწყო, მაგრამ წინანდელი სიცოცხლე აღარ ეტყობოდა. დანარჩენმა საღამომ უფერულად ჩაიარა. ხმოსნებს თავები ჩაექინდრათ, თითქოს ეძინებათო, ორატორები უგულოდ ლაპარაკობდნენ; ასე გასინჯეთ, თავმჯდომარესაც-კი შენიშვნა აღარავისთვის მიუცია. ჩვენც მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რა საგნები განიხილა საბჭომ და რა დაადგინა ამ საგნების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა ამ მეტად სახიფათო საგნის, რკინის გზის შესახებ, რომელმაც ამდენი უსიამოვნება ასტეხა და სისხლი აუმღვრია ხმოსნებს, საბჭომ დაადგინა: გადიდოს ამის განხილვა მომავალ კვირამდე, ვიდრე ,,La compagnie de traction et d'electricite“-ს წარმომადგენელი ტფილისში ჩამოვიდოდეს.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება კონსულის ქუჩაზედ ქალაქის სახლის აგების შესახებ. ცოტაოდენის კამათის შემდეგ საბჭომ შეიწყნარა გამგეობის პროექტი სახლის აგების შესახებ და დაადგინა გადასდოს ამ საქმისათვის 138,000 მანეთი.

დასასრულ წაკითხულ იქმნა სამოდუროვის განცხადება, რომელშიაც ის სთხოვს საბჭოს, ნება მომეცით მტკვარზედ, მუშტაიდის ზემოდ, ნავი გავმართო და ხალხი გადავიყვან-გადმოვიყვანოო. საბჭომ შეიწყნარა სამოდუროვის თხოვნა, მხოლოდ ამისი ნება სამის წლის ვადით მისცა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. შულავერი, (ბორჩალოს მაზრა). ბორჩალოს მაზრა განთქმული მისის სიმდიდრითა და კარგის მოსავლით, დღეს ესეც სხვასთან ერთად დამშეულია. თათრები, უმრავლესობა აქაურ მკვიდრთა შორის, მეტად ზარმაცნი და გაურჯელნი არიან, რის გამოც უხეიროდ შემუშავებული მიწა დაქირავებულ მუშით ნაკლებს მოსავალს იძლევა და ისიც მუშის ქირას უნდება... დღეს აქ პური ძალიან ძვირად ჰფასობს, ფუთი ფქვილი ჰღირს 1 მ. 80 კ.— 2 მ. ისიც დაბალის ხარისხისა. არა უკეთესს მდგომარეობაშია დღეს ბორჩალოს დედა ქალაქი შულავერი. ილაჯგაწყვეტილები გირჯანქობით პურის ყიდვით, მშიერ ციცასავით შეჰყურებენ ახალ მოსავალს, მაგრამ ამინდი არა ჰშურობს, გამუდმებული წვიმები მეტად აგვიანებს მოსავალს.

შულავერი მჭიდროდ არის დასახლებული ამ ასის წლის წინად ერევნის გუბერნიიდგან გადმოსახლებულ სომხებით; ადგილის ვიწროობის გამო სახლები ერთი-ერთმანერთს ეკვრის, ერთი მეორეზეა წამოკუნტული და მეტად ულაზათოდ აშენებული. ქუჩები ვიწრო, ერთის გარდა, და უსაზღვროდ უსუფთაო და ჭუჭყიანი. ამ უშნოდ გაშენებულს სოფელს გარს შემორტყმული აქვს დიდძალი ვენახ-ბაღები და ცოტა არ იყოს ამშვენიებს სოფელს. მკვიდრთა ჩვეულება მეტად წააგავს თათრულს; ქალი ემალება მამა-კაცს, პირს არ უჩვენებს და ლაპარაკით შინაურსაც არ ელაპარაკება. სუყველას ვერცხლის ქამარი არტყია, ურომლისოდ აქაური ქალი თავს ვერ გამოჰყოფს სახლიდგან. ენას, ზნე-ხასიათს დიდი გავლენა ეტყობა თათრულისა; ისე ძალზედ დამახინჯებულია აქაური სომხური ენა, რომ ყველა ინტელიგენტი სომხის ოჯახი სცდილობს თავის ბავშვებს აცდინოს ეს „არა სომხური ენა“, დიდად დასამცირებელი. უსაქმობაში, გაურჯელობაში ესენიც არ ჩამორჩებიან უკან აქაურ თათრებს; თუმცა ბევრი ვენახი აქვთ, მაგრამ თითქმის ყველა იმერელ მებაღეთა ხელშია. ერთმანეთის დაუნდობლობა, გაუტანლობა, მეზობლისთვის ორმოს გათხრა,—აი, საუკეთესო ღირსება აქაურებისა.

აქაურ ჩინოვნიკებისგან დაარსებულია „დროს გასატარებლად“ კლუბი. რა ჰქნას აქაურმა ინტელიგენციამ, როგორ გაათენოს ღამე, თუ არა „პრეფერანსის“ თამაშით... ტყუილად კი არ უჩივიან ქმრებს აქაური ქალები: ნეტა რა გაგიხდათ ე კლუბი, რომ ერთი ღამე შინ ვერ გაგითენებიათ... ან ეს: კარგია, შენ არ მომიკვდე, შენ კლუბში იარე, დრო გაატარე და მე-კი ბაიყუშივით შინ ვიჯდე და აქეთ იქით უაზროდ ვიცქირებოდე. კლუბი იწერს მრავალ ჟურნალ-გაზეთობას და ბიბლიოთეკაც მდიდარი აქვთ: ორი შკაფი გატენილია (როგორც ყველა კლუბის წევრი თავ-მომწონედ გეტყვით) ეგრედ წოდებულის ჟურნალების დამატებანით. ახალმა კლუბის მამასახლისმა ბ-ნ ა—მა დიდი სიმხნე და სურვილი გამოიჩინა კლუბის უკეთ მოწყობისთვის. გამურული და გაჯანგებული კლუბის ოთახები გაასუფთავა, გაალამაზა და ოსტატად მოაწყო ავეჯით; იმედია, ეს დიდად პატივცემული კაცი, ცარიელ გარეგნულ სილამაზით არ დაკმაყოფილდება და სხვაფრივაც გაამშვენიერებს კლუბს... ახლო მომავალში აპირებენ აქ წარმოდგენას რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენაზედ მართლმადიდებელ ეკკლესიის ასაგებად საშენ თანხის სასარგებლოდ, რადგან აქ მართლმადიდებელი ეკკლესია არ არსებობს.

მიხო

* * *

მასწავლებელთა საეკონომიო საზოგადოება ქუთაისის გუბერნიაში.

ყოველ დაწესებულების მოხელენი სცდილობენ შეადგინონ რაიმე საერთო საზოგადოება თავიანთის მდგომარეობის და სამსახურის ხელის შესაწყობად იმისდა მიუხედავად, რომ ჯამაგირსაც მეტს იღებენ თავ თავისს დროზედ გმრიელად, მერმისში უზრუნველ-ყოფილნი არიან, რადგან პენსია ეძლევათ, და ჩვენ კი, სოფლის მასწავლებელნი ყურებსაც არ ვიბერტყავთ, არ დავეძებთ არც ერთმანერთის დახმარებას, არცა ჩვენის თავის სიკეთეს; არ ვიახსებთ არც კასსას, არც ურთი ერთ დამხმარებელ საზოგადოებას, არ ვიკრიბებით წელიწადში ერთხელ, რომ ერთი მეორე გავიცნოთ, ჩვენი გაჭირვება, აზრები ერთი მეორეს გავუზიაროთ და გავაუმჯობესოთ გარემოება ჩვენის სამსახურისა, არამედ მივცემივართ ოცნებობას და შევჩერებივართ მთავრობას; თუ მთავრობა მოგვცემს რაიმე წინადადებას, თორემ ვართ მიძინებულნი სოფლებში; ჩვენ თუ ვერ შევიგნებთ, თუ რა არის ჩვენთვის უსაჭიროესი, სხვა რად შეიწუხებს ჩვენთვის თავს, თუ მთავრობამ მიგვიწოდა რაიმე სასარგებლო საქმისათვის, მაშინაც ბევრი ჩვენთაგანი სცდილობს როგორმე აუაროს გვერდი, სხვა-და-სხვა მიზეზი წამოაყენოს წინ და თავი განითავისუფლოს. თუ რაისამე სასარგებლო დაწესებულების შედგენა განიზრახა ვინმემ, აზრი წარმოსთქვა ამ საქმის შესახებ, მაშინვე კიჟინას დავკრავთ და კიცხვა-დაცინვას დავუწყებთ. ერთის სიტყვით, ჩვენში არ არის ერთობა. ვსთქვათ თუნდ ჯამაგირების მიღების შესახებ: ყველამ ვიცით, რომ მთავარ-მართებელმა გამოსცა ცირკულიარი 1892 წ. 10 სექტემბერს № 210, რომ მასწავლებლების ჯამაგირად უნდა იქმნას შეტანილი ფული მამასახლისების მიერ ხაზინაში, საიდგანაც მასწავლებელს უნდა მიეღო ორ თვეში ერთხელ. ბევრმა მასწავლებელთაგანმა გაიკეთა მამასახლისთან საქმე და ჯამაგირი აღარ შეატანინა ხაზინაში. ამ გვარად ზოგი სწერს მთავრობას, ჯამაგირი შეიტანოს მამასახლისმაო და ზოგი სწერს, აქვე დამაკმაყოფილაო. მთავრობასაც მოსწყინდა ამდენი საჩივარი-განცხადება და მიანება თავი. დღეს ზოგი ხაზინიდგან იღებს, ზოგი მამასახლისისაგან ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ და ზოგი კი ხუთ თვეში ერთხელაც ვერ ღებულობს. აი, ეს გვიყო ერთმანეთის მიუყოლებლობამ.

დიდიხანი არ არის მას აქეთ რაც ერთმა ხონელმა მასწავლებელმა მოიფიქრა დაგვეარსებინა მასწავლებლებს მასწავლებელთა საეკონომიო საზოგადოება ქუთაისის გუბერნიაში, რომელსაც აზრად უნდა ჰქონოდა საერო განათლების საქმეს დახმარებოდა და თან ამ საზოგადოების წევრებსაცა; ამ აზრის მისაღწევად საზოგადოებას უნდა მოეპოებინა საბეჭდავი მანქანები, გაემართა სასწავლო ნივთების საწყობი, საიდგანაც თითოეული წევრი გაიტანდა ყოველს სასწავლო მასალას, ერთის წლის საყოფს თავისის სკოლისათვის და შემდეგ წლის თავზედ ფულს შემოიტანდა, საზოგადოებას შეეძლო დაეარსებინა წიგნთ-საცავი მასწავლებელთათვის და ეზრუნა იმათის გონებრივის განვითარებისათვის; როდესაც ჩავდივართ ქუთაისში, უნდა შევძვრეთ სადმე სამიკიტნოში და იქ უნდა დავბინავდეთ, აბა სადა გვაქვს მასწავლებლებს იმდენი შეძლება, რომ სასტუმროს ნომრებში გამოვიქიმოთ. აი, ასეთ საზოგადოებას შეუძლიან ქუთაისში იქონიოს ერთი თავშესაფარი ბინა, რამოდენისამე ლოგინით მასწავლებელთათვის. ბევრნაირს სარგებლობასა და შემწეობას აღმოუჩენდა სოფლის მასწავლებლებს ამ გვარის საზოგადოების დაარსება; ერთ უმთავრეს სარგებლობად ისიც უნდა ჩაგვეთვალა, რომ წელიწადში ორჯელ ან სამჯერ კრებას მოვახდენდით, ერთი მეორეს გავიცნობდით ყოველის მხრით, აზრებს გავცვლი-გამოვცვლიდით, ვის რა უჭირდა გავიგებდით და შეძლებისა და გვარად საზოგადოება შემწეობასაც აღმოუჩენდა. მაგრამ,—როგორც მოგახსენეთ, ერთი მეორის გულ შემატკივრობის მაგიერ, ხელს უშლით და გულ საკლავს ხარხარს მივაყოლებთ. როდესაც ხონელმა მასწავლებელმა წარმოსთქვა ეს აზრი და გახდა მოთავე, ამ დროს გამოჩნდა მარტო ერთი კაცი და, „ბარაქალას“, მაგიერ კიჟინა დააყარა. ეს იმას ჰგავს, რომ ვინმემ დასალევად წყალი მოგვაწოდოს და ჩვენ გაუსინჯავად დავღვაროთ. მოგვესმინა ჯერ ამ მასწავლებლის აზრი, პროგრამა-წესდებანი და თუ არ იქნებოდა გამოსადეგი, შემდეგ, ვისაც რამდენი სურდა, ეკივლა, მაგრამ სჩანს ის ბატონი თვითონ უზრუნველ-ყოფილია შემდეგისათვის და ჩვენის კეთილდღეობისათვის არა სცხელა, კარგი იქნება, თუ ხონელი მოთავე ამ საქმისა არ დაგვიფრთხება, გვაცნობებს ყოველს გარემოებას ამ საქმისას და გამოაცხადებს პროგრამასა და წესდებას ამ საზოგადოების მოქმედებისას, რომ ვისაც ესურვება თავ-თავისი აზრი წარმოსთქვას.

ვლადო ბზვანელი

რუსეთი

საერო განათლების მინისტრმა შესაძლებლად სცნო ნება დაერთოს ხოლმე უმაღლესს სასწავლებლების მოსწავლეთა ცოლის შერთვისა იმ პირობით, რომ ეს ნება-რთვა უნდა მიეცეთ ხოლმე სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა მიერ უმაღლესს სასწავლებლის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგო.

— მომავალ სამოსწავლო წლიდგან დაბალ საშუალო სატეხნიკო სასწავლებლებში მიიღებენ არა უმეტეს $17^1/_2$ წლის მოსწავლეს და ამაზედ მეტის ხნის მოსწავლის მიღება დამოკიდებული იქმნება სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოსაგან.

— ხელ-ახლად აღიძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ რაიმე ცვლილება იქმნას შეტანილი სააფთიაქო ნიხრშიო. ამ საგნის გამოსარკვევად არსდება თურმე განსაკუთრებული კომისია.

— პარიჟის 1900 წლის საერთაშორისო გამოფენისათვის გამოცემულ იქმნება გზის მაჩვენებელი ხუთს ევროპიულ ენაზედ და მათ შორის რუსულზედაც.

უცხოეთი

—

ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი. როგორც გუშინდელი დეპეშა იუწყებოდა, ბრძოლა უკვე დაწყებულა სანტ-იაგოს მახლობლად ახლად მისულ ამერიკის ჯარსა და ესპანელებს შორის. ამერიკელებმა გადასხეს ნაპირზედ თავიანთ ჯარის ნაწილი და დანარჩენსაც ამ დღეებში გადასხამენ. პირველად გადასულა თვით ჯარის უფროსი გენერალი შაფტერი თავისის შტაბით. გაზეთების სიტყვით, ამერიკელები ძალიან ჩქარობენ ესპანელების დამარცხებას და სანტ-იაგოს აღებას. ამის მიზეზი ის არის, რომ კუბის ჰავა სწყენს ამერიკელებს და სცდილობენ ჯარი მალე უკანვე დააბრუნონო. ციებ-ცხელებით მრავალი ჯარის კაცი გამხდარა ავად დაიკირში. ამ დროს საშინელი წვიმები იცის კუბაში. სანტ-იაგოს გარეშემო ადგილები ტბათ არის გადაქცეულიო. ამერიკის მთავრობას აზრადა აქვს სანტ-იაგოს მახლობლად სულ 25,000 ჯარის-კაცი იყოლიოს. 15,000 უკვე გაგზავნა, დანარჩენსაც ამ დღეებში გაგზავნის. ეს ამოტელა ჯარი, მეამბოხეთა დახმარებით, ეჭვი არ არის, მალე მოუღებს ბოლოს კუბაში მყოფ ესპანიის ჯარსო. ამერიკელები დარწმუნებული არიან, რომ ერთი ან ორი კვირის შემდეგ ქალაქი სანტ იაგო და ამავე სახელის პროვინცია ჩვენ ხელში იქმნებაო.

— გაზეთ „Nord“-ს დეპეშით ატყობინებენ ამერიკიდგან: „ადმირალი სამპსონი დაბეჯითებით სთხოვდა მთავრობას ნება მომეცით ჰავანას ყუმბარები დაუშინოო. სამპსონი სწერს: ოთხის დღის განმავლობაში ჰავანის ნავთსადგურის გარეშემო აგებულ სიმაგრეებს მიწასთან გავასწორებო. მაგრამ პრეზიდენტმა არ შეიწყნარა სამპსონის თხოვნა და უარი შეუთვალა. პრეზიდენტს მაკ-კინლეის და საზოგადოდ მთავრობას, აზრადა აქვთ სანტ იაგოს აღების შემდეგ პორტო-რიკოსა და კანარის კუნძულების აღებას შეუდგნენ. უკვე გადაუწყვეტიათ პორტო-რიკოში 15,000 ჯარის-კაცი გაგზავნონ. მთავრობა იმ აზრისაა, რომ ამ კუნძულების დამარცხების შემდეგ ესპანია ომზედ ხელს აიღებს და შერიგებას მოსთხოვს შეერთებულ შტატებსაო“.

ნაპერსი

—

ერთი ახალგაზდა მკურნალი მწუხარებით სჩიოდა:

— ბედი არა მაქვს, ეხლა დავიწყე მკურნალობა და ვისაც კი ხელი დავადე, საიქიოს გავისტუმრეო.

იქვე იყო ერთი სასულიერო წოდების კაცი, გაიგონა ეს სიტყვები და ნატვრით უთხრა:

— ნეტა ერთ-ორ წელიწადს ჩემს მრევლში დაგეტრიალა, გავშენდებოდით!..

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკაში არის ეგრედ წოდებული „ყვითელი გაზეთები“. ამ გაზეთების პატრონები და თანამშრომელნი არავითარს საშუალებას არა ჰზოგავენ, რომ გაავრცელონ ხალხში: ჰბეჭდავენ ყოველ გვარ ცილის წამებას, ჰლანძღავენ მთავრობის მოხელეებს. ასე გასინჯეთ, მათს სურათებსაც-კი ჰბეჭდავენ. სურათის დაბეჭდვისათვის სულ მცირე მიზეზია საკმარისი. მაგალითად, შარშან გაზეთმა „ჟურნალმა“ დაჰბეჭდა სურათები იმ წარჩინებულ კაცთა ცოლებისა, რომელნიც იმ დროს ფეხ-მძიმედ იყვნენ. ამასთან გაზეთმა გამოაცხადა რაოდენობა ფულისა, რომელიც მოელის დედ-მამისაგან ჯერ დაუბადებელ შვილებს. ან კიდევ როგორ მოგწონს, მკითხველო, ამ გვარი ხერხი ხელის მომწერთ რაოდენობის გასამრავლებლად ხმარებული: ერთი რედაქტორი ქალი კუბოში ჩაწვა და ბრძანება გასცა, 15 წუთით მიწაში დამმარხეთო, მერე ყოველივე თავისი გრძნობა და ეს ამბავი გაზეთში დაბეჭდა. იგივე ქალი ერთხელ შეიპარა სატუსაღოში, შეიმოსა სასიკვდილოდ განმზადებულის დამნაშავის ტანთსაცმელით დ გაჰყვა ჯალათს, რომელსაც ელექტრონით უნდა მოეკლა. ქალმა მხოლოდ უკანასკნელ წამში განაცხადა ყოველივე და გადარჩა სიკვდილს. მეორე დღეს, რა თქმა უნდა, ეს ამბავი გაზეთში იყო გამოჭიმული.

ამ გვარ გაზეთების პირველ დამაარსებლად ითვლება ერთი ურია იოსებ პულიტცერი. ეს პულიტცერი 18 წლისა მოვიდა ნიუ-იორკში. ჯიბეში ერთი გროში არა ჰქონდა. ხან ჯარში იმსახურა, ხან მეეტლედ იყო, ხან სასტუმროში მოსამსახურედ. ბოლოს გაზეთში დაიწყო ამბების წერა და... ბედმაც გაუღიმა. 1878 წელს იყიდა ორი გაზეთი. არც ერთს ხელის მომწერნი არ ეტანებოდნენ. ეს ორი გაზეთი შეაერთა და გაავრცელა ხალხში. ბოლოს იყიდა გაზეთი „World.“ ეს გაზეთი ეხლაც არსებობს. პულიტცერმა დაიწყო ამ გაზეთში ქარხნების პატრონებისა, ვაჭრებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა სურათების ბეჭდვა. თან გაზეთის ფასს არ მოუმატა. ამ მოგონებისა გამო პულიტცერმა დიდ-ძალი ფული ჩაიჩხრიალა ჯიბეში, რადგანაც ვაჭრები და მექარხნეები გაზეთში კარგს ფულს აძლევდნენ განცხადების დასაბეჭდად. ხელის მომწერთა რიცხვმაც იმატა. ეს არ იკმარა პულიტცერმა. ერთს დღეს აიღო და დაჰბეჭდა ქალაქ ბრუკლინის წარჩინებულ ოჯახის გასათხოვარ ქალების სურათები. უმანკო ქალთა მამებმა ეს იწყინეს და უჩივლეს გაზეთის პატრონს. სასამართლომ პულიტცერი გაამართლა, რადგანაც მან დაამტკიცა, რომ თვით ამ ქალებმა მიუტანეს სურათები დასაბეჭდად. ამ გაზეთის ერთმა თანამშრომელმა ქალმა ნელლი ბლეიმ თავი მოიგიჟიანა. ჩასვეს სულით ავადმყოფთა სამკურნალოში. რამდენსამე თვეს იყო იქა და მკურნალებს ისე აჩვენა თავი, ვითომ განიკურნა სიგიჟისაგან. სამკურნალოდგან რომ გამოვიდა, დაწვრილებით აწერა, როგორი საზიზღარი წეს-რიგი სუფევს ამ სამკურალოში და როგორ სასტიკად ეპყრობიან ავადმყოფებს. ერთის სიტყვით, გაზეთის „World“-ის თანამშრომლები ნამდვილ ჩუმამაძიებლებად გადაიქცნენ. იმათის წყალობით ბევრი ავაზაკობა აღმოჩენილა, ბევრი კაცი გაუსამართლებიათ და ბევრი დაუსჯიათ კიდეც. ერთი კაცი სიკვდილითაც-კი დასაჯეს ამ გაზეთის წყალობით.

პულიტცერის საქმე ჩინებულად მიდიოდა. ხელის მომწერთა რიცხვი 400,000-მდე ავიდა. მაგრამ ამ დროს მეტოქე გამოუჩნდა ერთის მილიონების პატრონისა და სენატორის შვილი ვილლიამ ჰერსტი. ამ ჰერსტმა გამოცდილს გამომცემელს პულიტცერს გადააპარა ოსტატობით. გადიბირა მისი ყველა თანამშრომელი ჯამაგირის მომატებით. ზოგიერთს წელიწადში 24.000 მანათი დაუნიშნა ჯამაგირად. ერთის წლის შემდეგ ჰერსტის გაზეთი „ჟურნალი“ 600,000 კაცმა დაიბარა. საკვირველი ის არის, რომ არც პულიტცერის საქმე წავიდა ცუდად. იმის ხელის მომწერთა რიცხვიც ბევრით არ არის 600.000-ზე ნაკლები. რა საოცარ საშუალებას არა ხმარობენ ამ ორის გაზეთის პატრონები, რომ ხელის-მომწერთა რიცხვი გაიმრავლონ! როდესაც ამერიკაში შესანიშნავი რამ ამბავი მოხდება ხოლმე, პულიტცერი და ჰერსტი იმ წამსვე უგზავნიან ვრცელს დეპეშებს ევროპაში სახელმწიფო მოღვაწეთ. მაგალითად, გლადსტონს, ბისმარკს, ან უელსის პრინც სთხოვენ შეგვატყობინეთ, რა აზრისანი ხართ ამ ამბის შესახებაო. პასუხის ფული, რაღა თქმა უნდა, წინდაწინვე გადახდილია. საკვირველი ის არის, რომ ეს მოღვაწენიც ხშირად პასუხსა სწერენ, რომელიც იმ წამსვე გაზეთში იბეჭდება. დიდ-ძალ ფულს იღებენ ეს გაზეთები აგრეთვე შემდეგის რეკლამებით. გაზეთის თანამშრომლები მიდიან, მაგალითად, დიდის მაღაზიის პატრონთან და ეუბნებიან: ამა და ამ ღამეს მოვალთ და შენს მაღაზიას გავქურდავთ. ნაპარავ ნივთებს მოგიტანთ დანიშნულ ადგილსაო. ეს ამბავი მერე გაზეთებში იბეჭდება. მაღაზიას სახელი გაუვარდება, პატრონი ფულს იხდის და რედაქცია მდიდრდება. ეხლანდელი ომი ამერიკასა და ესპანიის შორის ხომ ამ გაზეთებისათვის ციდგან გადმოვარდნილი მანანაა. ჯერ პირველადვე მივიდა თუ არა ამბავი ამერიკაში გემის „მენ“-ის დაღუპვისა, ჰერსტმა განაცხადა, 100.000 მანათს მივსცემ, ვინც დაამტკიცებს, რომ ეს გემი ესპანელებმა დაღუპესო. მერე იყიდა გემი და გაგზავნა მთელი კომისია კუბას კუნძულზე იმის შესატყობად, როგორ ექცევიან ესპანელები კუბელებს.

ერთი ინგლისელი იწერება ამერიკიდგან: ყოველ დღე ქუჩაში აუარებელი რიცხვი იყიდება გაზეთებისა. ერთმა რედაქტორმა იმ დროს დაჰბეჭდა, ომია გამოცხადებულიო, როცა ეს ჯერ არავის ფიქრად არ ჰქონდა. ამ რედაქტორს სულით ავადმყოფთა სამკურნალოში უკრეს თავი. გაზეთი „ჟურნალი“ ერთს დღეს ცამეტჯერ დაიბეჭდა და რედაქციამ 150,000,000 ცალი გაჰყიდა იმ გაზეთისა 14 საათის განმავლობაში. საღამოს 8 საათზე თეატრში წავედი დ „ჟურნალის“ მე-24-ე გამოცემა ვიყიდე. მეორე მოქმედება რომ გათავდა, ამ გაზეთის მე-26 გამოცემა მომაჩეჩეს ხელში და თეატრიდგან რომ 11 საათზე შინ წამოვედი, მე-29 გამოცემა იყო გამოსული. აი სათაურები ამ გაზეთის ზოგიერთ წერილებისა: „პაპი ჩვენკენ არის“, „ბისმარკი ამტკიცებს, რომ გერმანია ჩვენ მოგვემხრობა“, „ესპანელები ჩვენს სენატორებს გატალახიანებულ ღორებს ეძახიან“, „ინგლისის ელჩი ჩვენს პრეზიდენტთან მივიდა კავშირის პირობათა შესაკვრელად“, „World“-ისა და „Journal“-ის პატრონებიც მოემზადნენ ერთმანეთთან საბრძოლველად ომიანობისა გამო. პულიტცერმა 10 მილიონი მანათი გადასდო ბრძოლის ველიდგან კორესპონდენტების დასაჯილდოვებლად, ჰერსტმა 20 მილიონი. ორთავე გაზეთის საღამოს გამოცემისათვის შრომობს ოც-ოცი რედაქტორი, რომლებიც მზად არიან ერთს წუთში ისეთი ამბავი დაჰბეჭდონ, რომ მკითხველს შიშის ზარი დასცენ.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: მზ)

(შემდეგი *)

ამავე უკუღმართ დრომ ვახტანგთან ერთად რუსეთს გასტყორცნა ტფილისის მიტროპოლიტი ნიკოლოოზიც, რომელმაც, რაღა თქმა უნდა, თან გაიყოლია თვისი თვალსაჩინო სწავლულებაცა და ნიჭიც.

რომ ტფილელი ნიკოლოოზ საბა ორბელიანის ძმა იყო, ამას იგი თითონვე ჰმოწმობს, როდესაც ამბობს: „კელთასა, მზის მოქცევისა, დღის მეცხრალისა, თთვის დადგეისა განმარტებით აღწერილი სწავლება, სულხან ყოფილის საბა ორბელიანისაგან თქმული და აქა ძმისა მის, საბასივე, ეპისკოპოსისა ნიკოლოზის კელით დაწერილი... ოდეს ესე დაიწერა, იყო ქრისტეს აქეთ 1736 წ.“

სხვა ადგილას იგი სწერს:

„ვევედრები ყოველთა მხილველთა მომქმედი ამის მცირისა შრომისა მროველ ეპისკოპოსი და აწ ტფილელ მიტროპოლიტად სახელდებული და ორისავე დიდად შორს მყოფი ნიკოლოოზ ორბელიშვილი შენდობას მიბრძანებდეთ ქრისტეს სიყვარულისთვის, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად; და თუ ვინმემ გადასწერდეთ ან ღმერთმან ინებოს და სტამბა გაჩნდეს და იმაში გამოიღოთ ვინმე, ქრისტეს ჯვარცმის გულისათვის და წმ. ღვთისმშობლის სიყვარულის გულისათვის ჩემს სახელსა და ამაზედ ჭირნახულს ნუ დააგდებთ: ეგების შენდობა მითხრას ვინმემ. 1730 წ. აგვისტოს 21.

„ნაშრომი საშრომ, მშრომელი უშრომ“

„აღვსწერე დიდსა სამეუფოსა ქალაქსა შინა მოსკოვს მეფობასა კურთხევით ხსენებულისა მეფეთ მეფისა ანნა იოვანეს ასულისასა. უფალმან განაგრძოს დღე მისი სვე-სვიანობით.

„მეფეთ განმცნობი, აწ ვერ საცნობი,
კიშეკ ვისადმე, შევედ მისადვე.“

აქვე ჩავურთავთ კიდევ შემდეგ იამბიკოს, რომელშიაც გამოთქმულია გაჭირვებული მდგომარეობა ქართველებისა რუსეთში. ნიკოლოოზ ტფილელ მიტროპოლიტი ორბელიანის ორბელის მისა მიერ მიწერილი პეტრებურგს აშთარხნიდამ მეფე ვახტანგს ლევანის შვილის წინაშე ბაგრატიონთან: იამბიკონი:

თუალნი ვერ მხედი შენი არ ნათლიან მაქუს:.
თუც ვარებ არგნით უფერკ სნეულ ანაქვს მაქუს:.
არ წამალ სენთა, არ საზრდელ გუამთასა არა მაქუს:.
შენი ყოელნი პირველ ძუ ხვად ვინ აქ გაქუს:.
მემსხუერპლე უქმად უზმა უსეფოდ დგან აქ:.
დიდებით ბრძენმან აგამხედველი გული:.
აქ შინა ცხვრით მოურნით არ აქუსთ სული:.
ჩვენგან ნალებად რასამე ყოლე არ უნდა რული:.
სიყუარულისა მწყურნები მტუერ ქმნილისას სრული:.
ლეგეონ წაწყმდეს: მსგავსი თვისი შვა შვილი:.
აქათ ძლუნილ ქარტა არ წესიერ რბის შენდა:.
არცა შენ მიერ მხრბოლთაგან მოვიდა ჩვენდა:.
კაცთ რების შენდა ქენებას არც თუ ვინ ისმენდა:.
ქარტა სამ თვესა შენ მიერ ვით მალხენდა:.
ვარ მომყმარ ჰმუნვით ცხოვრებდით მაძღარ შენდა:.
ეკლესიანი ყოვლითვესი სათნო ღ~თისა:.
ყოვლად სავსება მეოლისა კოპი აქუს ვისა:.
ხილთა სიმრავლე სიტკბო ღირსი ქებისა:
ვმზერ სირაქლემებრ ვეჭუ გამოჩეკისა:.
მქებრ წაწყმედს აქ უცხოთ შეწყნარებისა:.
ვცხოვრებ უსაზრდელ მწოლ უფლავ შეღონებით:.
ველ არ ცხენ, არ ეტლ, არ ნალო, ავ ქვეითობით:.
უმოს, უგებ, ულოცველ, უსანათობით:.
თუცა გხედვიდე, ნეტარ შენთან მყოფობით:.
ქრისტესდა ვქმენი ვარმცა ორკეც წყალობით:.
სიწმიდის საკმარ წინდვად მკართა კიდებით:.
თავადნი მუშაკად მიწათ ხეთა ჰიდებით:.
აქანი კნიაზ მუშაკ *) გვიხმობენ ჯირდებით:
ვიბრუნებთ სულსა ესრეთ მცირით დიდებით:.
თუ სულიერ ხარ ესრეთ ვითარ ვირჯებით:.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 ივნისი

პეტერბურგი. საიმპერატორო სასახლის და საუფლისწულო მამულების მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ბრონ ფრედერიქსი დანიშნულ იქმნა მთავარ საიმპერატორო სადგომის უფროსად, ისე კი რომ წინანდელ თანამდებობაშიაც ირიცხებოდეს.

პარიჟი. ბრისონმა ელისეის სასახლეში თანხმობა განაცხადა ვიკისრებ კაბინეტის შედგენასაო.

ნიუ-იორკი. „Herald“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს ესპანიის ნაპირებისაკენ შლეის უფროსობით ფლოტი, რომელიც ყუმბარებს დაუშენს ესპანიის ნავთ-სადგურებს, ხოლო შემდეგ კამარის ესკადრას დაუწყებს დევნას.

პორტ-საიდი. ამერიკის ელჩის თხოვნით, ეგვიპტეს მოხელენი ნებას არ აძლევენ კამარის ესკადრის საჭირო ნახშირი შეიძინოს და წაიღოს თან.

პარიჟი. როგორც სარწმუნო წყაროებიდგანა სჩანს კაბინეტი ამ გვარად არის შემდგრი: ბრისონი—პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, დელკასსე—გარეშე საქმეთა მინისტრი, ბურჟუა—საერო განათლებისა, დუვუნიაკი—სამხედრო, ლოკრუა—ზღვათა, პეიტრალი—ფინანსთა, სარიენი—სჯულის საქმეთა, ტრუილო—ახალშენთა, ვიჟე—მიწად-მოქმედებისა, მარიუჟულ—ვაჭრობისა,—საზოგადო საქმეთა მინისტრი ჯერ არ ამოურჩევიათ; ვალლე ან მეზიურერი იქმნება.

ვაშინგტონი. ზღვათა სამინისტრო იუწყება რომ ესკადრის უფროსი უოტსონი „New york“-ის გემით მიდის, რათა სამპსონს შეუერთდეს და შემდეგ ჯავშნიანის გემებისა და კრეისერებისაგან შემდგარის ესკადრით დაუყოვნებლივ ესპანიის ნაპირებისაკენ წავიდეს.

მადლობის გამოცხადება

საქველ-მოქმედო ბაზრიდგან, რომელიც გამართულ იქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ, ამ წლის 24 და 25 მაისს, შემოვიდა 1892 მან. 38 კაპ. დაიხარჯა 631 მ. 67 კ., დარჩა წმიდა შემოსავალი 1260 მ. 71 კ.

საზოგადოების გამგეობა უგულითადესს მადლობას უძღვნის იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს გამგეობას ნივთების და ფულის შემოწირვით, ხელ საქმის უსასყიდლოდ დამზადებით და აგრეთვე პირადის შრომით ბაზრის გამართვის დროს.

—

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა მოვალედ სთვლის თავის თავს მიუძღვნას უღრმესი მადლობა თ. ივანე გივის ძეს ამილახვარს და ალექსანდრე სიმონის ძეს ლოლუას, რომელთაც წარმოუგზავნეს ბათუმის სკოლის სასარგებლოდ 14 იანვარს გამართულის საღამოს მოთავეს თითო თუმანი.

წერილი რედაქციის მიმართ

დიახ რომ გვესიამოვნა ვერაზედ იაფ ფასიან სამკითხველოს გადმოტანა, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ სამკითხველო ღიაა მაშინ, როცა მუშა ხალხი სამუშაოდაა წასული და როცა თავისუფალია, მაშინ-კი დაკეტილი. ძალიან კარგს იზამდნენ ამ წიგნთ-საცავის გამგენი, რომ სამკითხველო ღია ჰქონდეთ ხოლმე ნაშუადღევის სამ საათამდის და საღამოს 6 საათიდგან ცხრა საათამდის, როდესაც უფრო მოცლილია ხოლმე სამუშაოსაგან მუშა ხალხი.

ვერელი ია...

---

*) იხ. „ივერია“ № 125

*) უნდა იყოს „მუჟიკ“. კნიაზები ვართ და მუჟიკს გვეძახიანო.

Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Іюня 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.